Himmvac
BN LaSota Live Vaccine

ინფექციური ბრონქიტის ვირუსი შტამი H0120 და ნიუკასლის დაავადების ვირუსი შტამი ლასოტა, მშრალად გაყინული ცოცხალი ვაქცინა

ფრინველის ვაქცინა

Himmvac Classic

პროდუქტი გამოიყენება ჯანმრთელი წიწილის ასაცრელად, ნიუკასლის დაავადებისა და ინფექციური ბრონქიტის პრევენციის მიზნით. შეიცავს ინფექციური ბრონქიტის ვირუსს (შტამი H-120) და ნიუკსალის დაავადების ვირუსს (შტამი ლასოტა).

შეფუთვა

1000 დოზიანი ფლაკონი

მწარმოებელი KBNP inc.
სამხრეთ კორეა
www.kbnp.net
kbnpexport@kbnp.co.kr
+82-31-478-5775

შემადგენლობა

შეიცავს ინფექციური ბრონქიტის ვირუსს (შტამი H-120) და ნიუკსალის დაავადების ვირუსს (შტამი ლასოტა).

ჩვენებები

გამოიყენება ჯანმრთელი წიწილების ვაქცინაციისთვის, ინფექცრიური ბრონქიტის H-120 შტამისა და ნიუკასლის დაავადების ლასოტა შტამის პრევენციის მიზნით.

გამოყენების ინსტრუქცია

სასმელ წყალში შერევის მეთოდი

ასაკი	8 კვირამდე	8 კვირის შემდგომ
წყლის რაოდენობა 1000 ფრთა ქათამზე	20 ლიტრი	40 ლიტრი

ვაქცინაციამდე 2 საათით ადრე ქათამს სრულად შეუწყვიტეთ სასმელი წყლის მიწოდება. ვაქცინა გახსენით იმ დოზირებით, როგორც ეს ეტიკეტზეა მითითებული. ყურადღება მიაქციეთ რომ სამელ წყალთან ერთდროულად ქათმების 2/3-ს მაინც შეეძლოს მისვლა. დარწმუნდით, რომ ყველა ქათამმა დალია ვაქცინის შემცველი წყალი. წყლის სარეკომენდაციო ტემპერატურაა 21 გრადუსი ცელსიუსი. რეკომენდირებულია, რომ ვაქცინაციამდე და ვაქცინაციის შემდგომ 24 საათის განმავლოლბაში სასმელი წყლით არ მიაწოდოთ რაიმე სხვა პრეპარატი.

გამოიყენეთ სუფთა, გრილი წყალი. ნუ გამოიყენებთ ქლორის შემცველ წყალს.

სიფრთხილის ზომები

- შეინახეთ 2-8 გრადუს ცელსიუს ტემპერატურაზე.
- მოარიდეთ სინათლის სხივს.
- ვაქცინაცია ჩაუტარეთ ჯანმრთელ წიწილას.
- მოარიდეთ ბავშვებს.
- გამოიყენეთ მხოლოდ ვეტერინარის რჩევით.
- გამოიყენეთ მხოლოდ ვეტერინარული მიზნობრიობით